ირაკლი სილინი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა და საქმიანობა 1918 წელს

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევა ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურასა და საქმიანობას მისი შექმნის პერიოდში. მიზეზი, თუ რატომ ავირჩიე ეს საკითხი, არის ის, რომ დღეისათვის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა და საქმიანობა ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის.ეროვნული არქივის ფონდებში დაცული დოკუმენტებით შევეცდები გამოვიკვლიო ამ ინსტიტუტის საქმიანობის ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი დეტალები.

შესავალი

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, შემდეგ კი ოქტომბრის გადატრიალებამ გამოიწვია სისხლიანი სამოქალაქო ომი, საბოლოოდ კი ქვეყანა მძიმე საზავო პირობებით გამოვიდა მსოფლიო ომიდან. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ხელისფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა დახვრიტეს უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ოჯახითურთ. ქაოსით მოცულმა იმპერიამ მასში შემავალ სხვადასხვა დაპყრობილ ერს მისცა შესაძლებლობა მოეპოვებინა დამოუკიდებლობა და შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. გამონაკლისი არც კავკასიის რეგიონი იყო. კავკასია ფაქტობრივად 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩამოსცილდა ცენტრს.1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომელშიც შედიოდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამიერკავკასიის რესპუბლიკამ 1918 წლის 26 მაისამდე იარსება. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოცხადა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება სრულად აღიქვამდა იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ბრძოლას ბოლშევიკებთან, რომელთა მთავარი მიზანი იყო დემოკრატიული ხელისუფლების დამხობა და კომუნისტური წყობილების

დამყარება. ამისთვის კი ისინი სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ[1].მაგალითად, ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს ქალაქ თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, მოაწყვეს მიტინგი. სხვა გზა არ იყო – შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიტინგის დასაშლელად ძალა გამოიყენა. ეს მიტინგი და თანმდევი მოვლენები გახდა გარდამტეხი იმ მხრივ, რომ სახელმწიფომ დაიწყო უფრო ეფექტური ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. თუ მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტწილად კომუნისტების აქციებს შლიდა, შემდგომ უშუალოდ ამ იდეოლოგიის პროპაგანდის წინააღმდეგ განახორციელა შეტევა, რომელიც ითვალისწინებდა ბოლშევიკური გამომცემლობების დახურვას, კომუნისტური იდეოლოგიის გამავრცელებელთა დაპატიმრებას, მაგალითად, შაუმიანის, კუზნეცოვის და ა.შ.[2].

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა და მასში შემავალი ინსტიტუციების აღწერა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეს (ინგოროყვას ქ.)

[1]საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 11.
[2]სცსა,ფონდი1863, აღწერა 1, საქმე 3, ფურც.12.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო კომპლექსური სტრუქტურის მქონე ინსტიტუტი, რომელსაც მაზრებსა და ქალაქებში სხვადასხვა სახის იერარქიული ტიპობრიობა ჰქონდა. მაზრებში შსს-ს წარმომადგენლობითი ორგანო იყო უმაღლესი ადმინისტრაციული შემადგენლობა, რომელშიც შედიოდა:1. მაზრის მილიციის უფროსი; 2. მაზრის მილიციის უფროსი თანაშემწე; 3. კანცელარია (ერთი საქმის მწარმოებელი მდივნის ფუნქციით; საქმისმწარმოებლის თანაშემწე; რეგისტრატორი, მემანქანე, გადამწერი, შიკრიკი); 4. მაზრის მილიციის რეზერვი (ცხენოსანი მილიციონერები, უმცროსი ცხენოსანი მილიციონერები; უფროსი ქვეითი მილიციონერები);5. რაიონის და უბნის მილიციის ადმინისტრაცია (რაიონის მილიციის უფროსი, საქმისმწარმოებელი, მსახური)[3].

რაც შეეხება თავად შინაგან საქმეთა სამინისტროსსაორგანიზაციო სტრუქტურას, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მსახურობდნენ:

შინაგან საქმეთა მინისტრი;

მინისტრის ამხანაგი (მოადგილე);
1 კანცელარიის დირექტორი;
1 კანცელარიის ვიცე-დირექტორი;
4 განყოფილების გამგე;
1 განსაკუთრებული დავალებების ჩინოვნიკი;
1 მინისტრის თანაშემწე;
7 საქმისმწარმოებელი;
3 ბუღალტრის დამხმარე;
1 ეგზეკუტორი;
4 სახაზინო ჩინოვნიკი;
1 რეგისტრატორი;
1 ეგზეკუტორის თანაშემწე;
18 კანცელარიის ჩინოვნიკი;
10 მემანქანე და 12 დაბალი რანგის მსახური;

სამინისტროში შედიოდა ადმინისტრაციის ინსპექტორი, რომელიც განაგებდა რესპუბლიკის ციხეებს, მას ამ სტრუქტურაში ეხმარებოდა 2 დამხმარე, 2 განსაკუთრებული დანიშნულების ჩინოვნიკი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 კანცელარიის

[3]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 227, ფურც.41.

თანამშრომელი და 1 მემანქანე. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროშიშედიოდა შემდეგი განყოფილებები:სამედიცინო განყოფილება;საფოსტო-სატელეგრაფო „ოკრუგი“(ოლქი); ვეტერინართა ბიურო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამინისტროს კანცელარიის სამუშაო გადანაწილებული იყო 4 განყოფილებაზე, კერძოდ: ადმინისტრაციულზე, ადგილობრივ მეურნეობაზე, საერთო საქმეებსა და საანგარიშოზე. ყოველი განყოფილება კი დაყოფილი იყო ცალკეულ „მაგიდებად“.

ადმინისტრაციული განყოფილება

ადმინისტრაციული განყოფილება აერთიანებდა შემდეგ განყოფილებებს: მილიციის განყოფილებას, ადმინისტრაციულ განყოფილებასა და მდივანთა განყოფილებას.

მილიციის განყოფილება

ამ განყოფილებაში შედიოდა მილიციის შტატები. განყოფილება ახორციელებდა მიმოწერას მივლინებაში მყოფ ჩინოსნებთან, ამტკიცებდა შტატგარეშე წოდებებს, თანამდებობებზე ნიშნავდა მოხელეებს, თვალს ადევნებდა კანონპროექტებს, რომლებშიც აისახებოდა მილიციისთვის დამხმარე ძალები შემატება, მიმოწერამილიციის რეზიდენციის გადატანის თაობაზე, იარაღის გადაცემა მილიციელთათვის, მოქალაქეთათვის იარაღის ტარების ნებართვის გაცემა.

თბილისის სახალხო მილიციის თანამშრომლები [4]

ადმინისტრაციული განყოფილება

ადმინისტრაციულიგანყოფილების მოვალეობა იყო ცირკულარული ბრძანებების გამოცემა, მიმოწერა მხარეების ადმინისტრაციული საკითხების თაობაზე, მიმოწერა ციხეებთან, ასევე- საჯარიმო თანხებთან დაკავშირებით და სხვადასხვა სახის ზარალის ანაზღაურებაზე.

მდივანთა განყოფილება

მდივანთა განყოფილების მოვალეობაში შედიოდა საზღვარგარეთ გადაადგილების უფლების მიცემა მოქალაქისთვის, საზღვარგარეთის პასპორტის გაცემა, დევნილობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა, რათა მათ უფასოდ ესარგებლათ რკინიგზით, ასევე მიმოწერა დევნილთა საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

[4]დავით ხვადაგიანი, დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურები (2018), https://civil.ge/ka/archives/270461?fbclid=IwAR1vjEW_3jFrzgDN7wxWIgXQy0pbSqMCIRr6dLp11AqQTbNs4maT_nuTS7I

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებაერთიანებდა მაზრებსა და ქალაქების საქმეებს.

მაზრების საქმეები

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება მაზრებში მეურნეობის გასაუმჯობესებლად განიხილავდა სხვადასხვა პროექტს, გამოყოფდა თანხას მაზრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ: გზების დასაგებად და შესანახად, სამეურნეო ნაგებობების ასაშენებლად სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობისთვის[5].

ქალაქის საქმეები

მიმოწერა ქალაქის საქმეებთან დაკავშირებით, ქალაქის სტრუქტურული მოწყობა, იმ კანონების გადახედვა, რომელთა დაცვაც აუცილებელია ქალაქში მყოფი ნებისმიერი მოქალაქისთვის.

1919 წლის 30 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ერთ-ერთი შტო - ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება- გადავიდა თბილისის თვითმმართველობის დაქვემდებარებაში.

საერთო საქმეების განყოფილება

საერთო საქმეების განყოფილებაში თავმოყრილი იყო ინსპექტორული ხასიათის საქმეები, რომლებიც ეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას, კერძოდ: კანდიდატის დანიშვნას, სხვა ორგანოში გადაყვანის ან საერთოდ გარიცხვის საკითხს, ასევე შემწეობის, პენსიის დანიშვნასა და მისი ოდენობის საკითხს. საერთო საქმეების განყოფილებაში ასევე განიხილებოდა მობილიზაციის საკითხიც. მოცემულ განყოფილებაში შედიოდა 4 „მაგიდა“. ესენი იყო: ა) საინსპექტორო; ბ) საპენსიო; გ) სამხედრო; დ) სასულიერო საქმე.

საბუღალტრო

[5]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 227, ფურც.1.

ამ განყოფილებაში უმთავრესად განიხილებოდა საბუღალტრო საქმეები, რომლებიც უკავშირდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის ქვეუწყებებზე კრედიტების გაცემის ოდენობას, ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვას, სხვადასხვა პროექტისთვის საჭირო თანხების გამოყოფასა და ასე შემდეგ[6].

როგორც აღვნიშნეთ, გარდა ჩამოთვლილი 4 განყოფილებისა, რომლებშიც გადანაწილებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა, კიდევ არსებობდა მასთან დაკავშირებული 3 განყოფილება, რომელთა შესახებაც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

საფოსტო-სატელეგრაფო უწყება

1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რამაც კარდინალური ცვლილებები გამოიწვია ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოში. ცვლილებების ტალღას გვერდი არც საფოსტო-სატელეგრაფო უწყებისთვის არ აუვლია. რუსეთის მმართველობის დროს საფოსტო-სატელეგრაფო უწყებას მოსახლეობის ნდობა არ ჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვებისას კი ქვეყანამ ის კვალიფიციური კადრები დაკარგა, რომლებიც ამ განყოფილებაში მუშაობდნენ; მიზეზი კი ის იყო, რომ მათი უმრავლესობა რუსები იყვნენ და არ სურდათ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ემუშავათ. მთლიანობაში არსებობდა 4 პრობლემური პუნქტი, რომლებიც სიტუაციის მყისიერ გამოსწორებას უშლიდა ხელს.

კერძოდ:

1) გამოცდილი ხელმძღვანელების დეფიციტი.

2) მოცემულ უწყებაში მომუშავეთა სრული დემორალიზება.

3) განყოფილების მიმართ სრულიად უნდობი დამოკიდებულება რევოლუციის შემდგომ.

4) ცუდი დამოკიდებულება დარჩენილი ქართველი მოხელეების მიმართ მათი გამოუცდელობის გამო.

[6]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1522, ფურც. 2.

მიუხედავად ამდენი სირთულისა, საფოსტო-სატელეგრაფო უწყებამ მოახერხა ბევრად უფრო წარმატებით ემუშავა, ვიდრე რუსეთის იმპერიის დროს. გარდა რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული ახალი საფოსტო განყოფილებებისა, საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობა ჩამოყალიბდა რამდენიმე მეზობელ სახელმწიფოსთანაც. 1919 წლის ოქტომბერისთვის 40 სოფელში დამატებით გაიხსნა საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება. 1918 წლის 26 მაისის მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 80 განყოფილება იყო. 1919 წლის ოქტომბერს კი მათ უკვე 40 ახალი განყოფილება დაემატა და კიდევ 17 უახლოეს მომავალში ივარაუდებოდა. გარდა ამისა, გაიხსნა 96 სატელეფონო სადგური და ამდენივეს გახსნა კიდევ იგეგმებოდა[7].

დევნილთა საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოთა საქმიანობა

დევნილთა ცენტრალური კომიტეტი

არანაკლებ რთულ პირობებში ყალიბდებოდა დევნილთა საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანო. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს ტერიტორია კავკასიის ფრონტზე ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი იყო დევნილთათვის, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და კავკასიაში ეთნოკონფლიქტების გამძაფრების შემდგომ მათი რაოდენობა გაიზარდა. დევნილების მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საწყის ეტაპზე არ ჰქონდა დევნილთა მიმართ განსაზღვრული რამე სტრატეგია, რაც ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობით იყო განპირობებული, თუმცა შემდგომ ჩამოყალიბდა დევნილთა ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც დაიწყო აქტიური მუშაობა ამ საკითხის მოსაგვარებლად. მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, გარკვეული რაოდენობის საკვების მიწოდება მაინც ხერხდებოდა დევნილთათვის.რესპუბლიკა ასევე ცდილობდა დევნილების შინ დაბრუნებას. პირველ ეტაპზე შედარებით რთული იყო მათი შინ დაბრუნება, თუმცა შემდგომში რესპუბლიკა ზოგჯერ დევნილებს ეშელონებითაც კი გზავნიდა სამშობლოში; გარდა ამისა, დევნილთა კომიტეტი ახერხებდა პირველადი დახმარების გაწევას, რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი იყო, რადგან დევნილთა ნაკადის დაახლოებით ნახევარი ტიფით ან დიზენტერიით იყო დაავადებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შინაგან

[7]სცსა, ფონდი 1863, აღწერა1, საქმე 1522, ფურც. 6-7.

საქმეთა სამინისტროს ჩამოყალიბებიდან 1919 წლის ოქტომბრამდე მონაცემებით, დევნილთა დასახმარებლად გამოიყო 4.980.000 რუბლი[8].

ვეტერინარ-სანიტართა განყოფილება

ვეტერინარ-სანიტართა განყოფილების მიზანი იყო თვალყურის დევნება და სათანადო ზომების მიღება რესპუბლიკაში მესაქონლეობის დარგის ფუნციონირებისთვის. ამ მიმართულებით იყო ბევრი პრობლემა,რომელთა გადალახვაც არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე საკმაოდ რთული ჩანდა. პრობლემას ქმნიდა რკინიგზის გაუმართავი მუშაობა და საერთოდ უგზოობა. ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით აღინიშნებოდა რკინიგზისა და გზების დეფიციტი, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. ვეტერინარ-სანიტართა განყოფილებას არ ჰყოფნიდა ვაგონები, რადგან ქვეყანას ხშირად უწევდა სამხედრო ეშელონებისა და დევნილების სხვადასხვა ადგილას გადაყვანა. მეორე მწვავე პრობლემა იყო რქოსან პირუტყვში გავრცელებული დაავადებები, რაც მასობრივ ხასიათს ატარებდა 1918-19 წლებში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობდა 183 პუნქტი, რომლებშიც მძვინვარებდა დაავადებები. სულ ამ 183 პუნქტში იყო 99467 რქოსანი პირუტყვი: მათგან 1506 დაავადებული, 50172 აცრეს, 1063 დაიღუპა აცრის გაკეთების შემდგომ. მთლიანი მონაცემებით კი აცრის შემდგომ დაღუპული საქონლის რაოდენობა შეადგენდა 3,93%-ს იმ საქონლის რაოდენობიდან, რომლებიც აცრეს. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია რქოსან პირუტყვთან დაკავშირებით აღინიშნებოდა დასავლეთ საქართველოში[9].პრობლემის ბოლომდე აღმოფხვრას ორი რამ უშლიდა ხელს: პირველი - ეს იყო არასაკმარისი რაოდენობის ვაქცინა ქუთაისის ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო დისპანსერის ქარხანაში, მეორე კი-ვაქცინის არაეფექტიანობა; მეტწილად ასეთი სახის სიტუაცია აღინიშნებოდა თიანეთის რეგიონში[10].

საერთო ჯამში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეუწყებები, მიუხედავად იმ ეპოქაში არსებული აურაცხელი პრობლემისა, ეფექტიანად მუშაობდა. სტრუქტურულად საკმაოდ დაბალანსებული პრინციპით ახორციელებდნენ თავიანთ მოვალეობებს. თუმცა, როგორც აღვნიშნე,ამ სტრუქტურების ყველაზე მთავარი პრობლემა იყო

[8]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1522, ფურც. 11.
[9]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1522, ფურც. 13.
[10]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1522, ფურც. 14.

ქვეყანაში არსებული ძალზე მძიმე ეკონომიკური სიტუაცია, რამაც მათ საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების საშუალება არ მისცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონპროექტები და ბიუჯეტი 1918 წელს

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო აქტიური მუშაობა ახალ კანონებზე, რომელთაც წარუდგენდა საკანონმდებლო ორგანოს. დიდი ყურადღება უნდა დასთმობოდა ფინანსურ მხარესაც, ვინაიდან არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო აუცილებელი იყო ფინანსების მაქსიმალურად სწორად გადანაწილება, რათა ეპოვათ ოქროს შუალედი და გაეზარდათ შრომის ეფექტიანობა.

განვიხილოთ მიღებული კანონები ქრონოლოგიური პრინციპით. პირველ ყოვლისა,1918 წლის 12 ივლისს მიიღეს კანონი საქართველოს სამხედრო გზის სადარაჯო რაზმის ჩამოყალიბების შესახებ.

1. საქართველოს სამხედრო გზაზე წესრიგის უზრუნველსაყოფად 3 თვის ვადით უნდა ჩამოყალიბებულიყო სადარაჯო რაზმი;
2. ზემოაღნიშნულ რაზმში მსახურება არავის ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისგან.
3. იმ დავალებების შესასრულებლად, რომლებიც ეკისრებოდა სადარაჯო რაზმს, სახელმწიფო ხაზინას გამოყოფილი ჰქონდა 284.550 მანეთი.
4. რაზმის მოქმედების ინსტრუქცია შემუშავებული იყო შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრების კოოპერაციით[11].

რაზმის საშტატო შემადგენლობა და ანაზღაურება

თანამდებობები	თანამდებობის პირთა	თითოეულის თვიური	ყველა თანამშრომლის	3 თვეში მიღებული

[11]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 20.

	რაოდენობა	ანაზღაურება	მთლიანი ანაზღაურება თვეში	ანაზღაურება
რაზმის უფროსი	1	600	600	1800
რაზმის უფროსი თანაშემწე	2	500	1000	3000
უფროსი მოდარაჯე	15	300	4500	13.500
უმცროსი მოდარაჯე	355	250	38750	266.250
ჯამი				284.550

გარდა ამისა, კანონში შენიშვნის სახით გამოყოფილი იყო შემდეგი შეღავათები, რომლებითაც ისარგებლებდნენ რაზმის წევრები; კერძოდ: ისინი სახელმწიფოს დაფინანსებით უზრუნველყოფილნი იყვნენ ჯარისკაცის ულუფით,ბინით თავისი განათებითა და გათბობით, ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ყიდვა შეეძლოთ საინტენდანტო უწყების ფასად. რაც შეეხება შეიარაღებასა და სამედიცინო დახმარებას, რაზმს უზრუნველყოფდა სამხედრო სამინისტრო[12].

შემდგომი კანონი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა, იყო განსაკუთრებული რაზმის დაარსების კანონი. ეს კანონი მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

[12]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 21.

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა დაეარსებინათ განსაკუთრებული რაზმი, რომლის მიზანიც იქნებოდა კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და მძარცველების წინააღმდეგ ბრძოლა;
2. ამ რაზმს უნდა ემოქმედა შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციის მიხედვით;
3. რაზმისთვის უნდა გამოეყოთ 240.000 მანეთი, რომელსაც სახელმწიფო ხაზინიდან გასცემდნენ[13].

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის შტატის შემადგენლობა და ანაზღაურება

თანამდებობები	თანამდებობის პირთა რაოდენობა	თითოეულის თვიური ანაზღაურება	ყველა თანამშრომლის მთლიანი ანაზღაურება თვეში	6 თვეში მიღებული ანაზღაურება
რაზმის უფროსი	1	900	900	5400
რაზმის უფროსის მოადგილე	2	800	1600	9.600
უფროსი თანამშრომელი	20	500	10000	60000
უმცროსი თანამშრომელი	40	450	18000	108000
აგენტურისთვის				30000
კანცელარიის, შენობის და მცველთა ხარჯები				15000
საგზაო ხარჯი				12000

[13]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 31.

სულ	63			240000

30 ივლისი 1918 წელი[14]

შემდეგი კანონპროექტი შეეხება სასოფლო მილიციასა და ადმინისტრაციას:

1. სოფლად წესიერების დასაცავად ყოველი სოფლის საზოგადოებაში დაარსდა მუდმივი სასოფლო მილიცია ერთი სასოფლო კომისრის და ხუთი მილიციონერისგან.
2. სოფლის კომისარს ჯამაგირად დაენიშნა 300 მან. თვიურად, ხოლო საკანცელარიო ხარჯებისთვის 450 მან. თვიურად და დაევალა, გარდა ყოველდღიური პროფესიული საქმიანობისა, სამობილიზაციო, სამხედრო-საცხენო ბეგარის, სოფლის საზოგადოებაში სახელმწიფო გადასახადების აკრეფისა, სხვა სათანადო საქმეთა წარმოება.
3. მილიციონერს ჯამაგირად ეძლეოდა 220 მან. თვიურად.
4. სასოფლო მილიციის ზემოაღნიშნული შტატი შემოიღეს 1918 წლის პირველ აგვისტოს.
5. მილიციისთვის საჭირო თანხა 9.723.600 მან. გამოყოფილი იყო სამხედრო ხაზინიდან. შენიშვნა:1918 წელს სასოფლო მილიციისთვის თანხა იყო სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო ერობის შემოღების შემდეგ, 1919 წლის პირველი ივნისიდან, ამ ხარჯისნაწილი დაევალა ერობას.
6. სოფლის საზოგადოება სოფლის კომისრის თანამდებობაზე ირჩევდაერთ კანდიდატს და წარუდგენდა მაზრის კომისარს დასამტკიცებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში სოფლის კომისარს ნიშნავდა გუბერნიის კომისარი.
7. მაზრის კომისარს უფლება ჰქონდა, თუ საჭიროება მოითხოვდა, მილიციონერები ერთ საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში დროებით გადაეყვანა.
8. მილიციონერებს ბინა ეძლეოდა სოფლის საზოგადოების მმართველობის შენობაში.
9. სასოფლო მილიციის სამსახური არავის ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისგან[15].

[14]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 32.

სოფლის მილიციის შტატების შემადგენლობა და ანაზღაურება

ადგილები	სოფლის საზოგადოების რიცხვი	სოფლის კომისართა რიცხვი	სოფლის მილიციონერთა რიცხვი	სოფლის კომისარიატი თითოეულ კომისარს ანაზღაურების სახით აძლევდა 450 მან.
თბილისის გუბერნია	193	193	965	--
ქუთაისის გუბერნია	193	193	965	--
სოხუმის ოლქი	52	52	260	--
ჯამი	438	438	2190	--
წლიური ჯამი	-	3600	2640	5.400
ჯამი		1.576.800	5.781.600	2.365.200 მან

1918 წლის 2 აგვისტო [16]

1918 წლის 2 აგვისტოსვე დამტკიცდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მფრინავი რაზმის გადიდებისკანონი. კანონის მიხედვით, უნდა გაზრდილიყო ამ რაზმების პირადი შემდგენლობა.

1. თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში მათი რაოდენობა 600-დან 1000 კაცამდე გაიზარდა, ხოლო სოხუმის ოლქში 300-დან 400 კაცამდე.
2. მოცემული რაზმის უფროსს დაენიშნა მეორე თანაშემწე.

[15]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 35.
[16]სცსა, ფონდი1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 36.

3. რაზმის უფროსს თვიურად ანაზღაურების სახით დაენიშნა 600 მანეთი, ხოლო მის თანაშემწეს –500 მანეთი. შენიშვნა: სადარაჯო რაზმის მსგავსად ანალოგიური შეღავათით სარგებლობდნენ მფრინავი რაზმის წევრებიც, კონკრეტულად „ისინი სახელმწიფოს დაფინანსებით უზრუნველყოფილნი იყვნენ ჯარისკაცის ულუფით, ბინით თავისი განათებითა და გათბობით, ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ყიდვა შეეძლოთ საინტენდანტო უწყების ფასად. რაც შეეხება შეიარაღებასა და სამედიცინო დახმარებას, რაზმს უზრუნველყოფდა სამხედრო სამინისტრო“.
4. მფრინავი რაზმის შტატის ნომრის შეცვლითა და გადიდებით გამოწვეული ხარჯი იფარებოდა სამხედრო ხაზინით.
5. რაზმის მოქმედების ინსტრუქცია შემუშავებული იყო სადარაჯო რაზმის მსგავსად სამხედრო მინისტრებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კოოოპერაციით.
6. მფრინავ რაზმში მსახურება არავის ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისგან[17].

რაც შეეხება საგანგებო მფრინავი რაზმის შტატსა და ფინანსებს, ასე იყო გადანაწილებული:

	თბილისის გუბერნია	ქუთაისის გუბერნია	სოხუმის ოლქი	ჯამი	თითოეულის ჯამაგირი	ყველას ჯამაგირი	საერთო ჯამაგირი
რაზმის უფროსები	1	1	1	3	600	1800	10800
რაზმის უფროსი თანაშემწენი	2	2	2	6	500	3000	18000
უფროსი ცხენოსანნი	30	30	15	75	300	22500	13500
უმცროსი ცხენოსანნი	970	970	385	2325	250	581250	3487500

[17]სცსა, ფონდი1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 41.

სულ	1003	1003	403	2409	-	608550	3651300

გარდა ამისა, კანონში იყო შენიშვნა, რომელშიც უთითებდნენ, რომ საგანგებო მფრინავი რაზმის მოხელეებს ეძლეოდათ თვეში 50 მან. ფურაჟის ფული, რაც თვეში სულ 120450 მან-ს შეადგენდა, ხოლო 6 თვეში – 722700 მან-ს. საერთო ჯამში, მფრინავი რაზმისთვისგანკუთვნილი თანხა შეადგენდა 4.374.000 მან-ს.

1918 წლის 2 აგვისტო[18]

ამავე დღეს, 1918 წლის 2 აგვიტოს, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო მილიციაში მომსახურე პერსონალის ანაზღაურების გაზრდის კანონი, რომელიც შემდეგი პუნქტებისგან შედგებოდა:

1. შეიცვალა ჯამაგირის ოდენობა საქართველოს გუბერნიებსა და მეორე ხარისხის ქალაქებში.
2. უცვლელი დარჩა სამაზრო მილიციონერთა ცხენების საკვებად განსაზღვრული თანხა, აგრეთვე – მილიციონერთათვის გამოყოფილი თანხა ტანსაცმელზე. გარდა ამისა, არ შეცვლილა საკანცელარიო ხარჯი ქალაქებისა და საუბნო მილიციისთვის.
3. შტატის ჯამაგირის გადიდებით გამოწვეული ხარჯი გაიღო სახელმწიფო ხაზინამ.
4. მილიციის ეს სამსახური არავის ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისგან[19].

რაც შეეხება ხარჯს პირველ და მეორეხარისხოვან ქალაქებსა და მაზრებში, მოცემული დადგენილებით სურათი ასეთი იყო:

პირველხარისხოვანი ქალაქების ხარჯი - კონკრეტულად: ქუთაისის, სოხუმის, ფოთისა და ზაქათალის - 876.040 მან-ს შეადგენდა. ამას ემატებოდა საკანცელარიო ხარჯი, კერძოდ:უფროსი მილიციონერების ანაზღაურება:ქალაქის/თითოს 3000 მან. მთლიანობაში 12000 მან.,უბნის/თითოს 2000მან. მთლიანობაში 14000 მან.მილიციის

[18]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც.42.
[19]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 43.

ტანსაცმლის კომპლექტის ფასი მთლიანობაში 14160 მანეთს შეადგენდა.საერთო ჯამში, მილიციის ხარჯი პირველხარისხოვან ქალაქებში მთლიანად შეადგენდა 916.200 მან-ს[20].მილიციის ხარჯი მეორეხარისხოვანი ქალაქებისთვის, კონკრეტულად: გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავისა და ოზურგეთის, შეადგენდა 284640 მან-ს. ამ თანხას კიდევ ემატებოდა საკანცელარიო ხარჯი: თითოეულ მილიციის უფროსს წლიურად ეძლეოდა 2000მან. მთლიანობაში 10000მან. და პოლიციის ტანსაცმლის ხარჯი, კერძოდ, 1 კომპლექტის საფასური შეადგენდა 60 მან-ს, წლიურად 5160 მან-ს. მთლიანობაში მეორეხარისხოვანი ქალაქების უსაფრთხოებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრო ხარჯავდა 299800 მანეთს[21].

ინფორმაცია მაზრებში გუბერნიის მილიციის შტატებისა და თანხის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ადმინისტრაციული ნაწილების სახელები	სამაზრო მილიციის უფროსი	უფროსი ცხენოსანი მილიციონერი	უმცროსი ცხენოსანი მილიციონერი	ჯამი
თბილისის გუბერნია	7	49	1238	1294
ქუთაისის გუბერნია	7	50	650	707
სოხუმის ოლქი	1	10	200	211
ზაქათალას ოლქი	1	10	200	211
ჯამი	16	119	2288	2423
ჯამაგირის რაოდენობა წლიურად თითოზე	5400	3000	2640	
სულ	86400	357000	6040320	6483720

[20]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 44.
[21]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 45.

გარდა ამისა, თითოეული მილიციონერის ტანსაცმელზე იხარჯებოდა 60 მან. წლიურად ყველაზე – 145.380, ხოლო ფურაჟზე –600 მან. თითოეულზე, ხოლო მთლიანობაში 1.453.800 მან. ჯამში, მოცემული კანონიდან გამომდინარე ხარჯის რაოდენობა შეადგენდა 8.082.900 მანეთს.

1918 წლის 2 აგვისტო[22]

იმავე დღეს მიიღეს „რუსეთის საერთო დაწესებულებებისა და მათი განყოფილებების ლიკვიდაციის კანონი“, რომელიც მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

1. „მიენდოს მთავრობას, საჭიროების მიხედვით, მოახდინოს ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსეთის, კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და მათ ადგილობრივ განყოფილებათა არა უგვიანეს ამა 1918 წლის დეკემბრის პირველისა“.
2. მთავრობას დაევალა ასეთი ტიპის ლიკვიდაციის შემდგომ სათანადო კანონპროექტების წარდგენა ეროვნული საბჭოსთვის არა უგვიანეს ერთი თვისა ამა თუ იმ დაწესებულების სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის დღიდან.
3. სალიკვიდაციო სამუშაოსთვის გამოყოფილი იყო 10 მილიონი მან.

1918 წლის 2 აგვისტო[23]

1918 წლის გახმაურებული საქმეები

1918 წლის ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა სპეცოპერაცია არალეგალურად გახსნილ კლუბ „ფარშევანგის კუდში“, რომელიც მდებარეობდა ჭავჭავაძის ქუჩის N3-ში.სპეცოპერაციის შედეგად ამოღებულ იქნა ალკოჰოლური სასმელები;დადგინდა, რომ ეს კლუბი პოლიტიკური მნიშვნელობის იყო. თბილისის საქალაქო მილიციის ხელმძღვანელმა დარახველიძემ თავის პროტოკოლში მიუთითა, რომ ამ კლუბში იაკობ ლვოვის ძე ლვოვი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ლობანოვი, ალექსანდრე სამოილოს ძე პეტრაკოვსკი და ვლადიმირ სტეფანეს ძე ანანოკი

[22]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც. 46.
[23]სცსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 85, ფურც.37.

პროპაგანდას უწევდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას, აგროვებდნენ ბოლშევიკებისთვის ფულს და აწარმოებდნენ აქტიურ ბრძოლას რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. სპეცოპერაციის შემდგომ კლუბი დაიხურა, ხოლო მის მფლობელს დაეკისრა 3000 რუბლის ოდენობის ჯარიმა[24].

განსაკუთრებული რაზმის უფროსის ანგარიშის მიხედვით კი დგინდება, რომ სპეკულაციასთან ბრძოლის შედეგად ყველაზე მინიმალური გათვლით აღმოჩნდა 50 მილიონი მანეთის ღირებულების უკანონო საქონელი[25]. საქართველო-სომხეთის ომის დროს მათ დაახლოებით 2000-მდე სომეხი ეროვნების მოქალაქე დააკავეს. ამ ოპერატიული ქმედების წყალობით მოხერხდა ღალატის თავიდან აცილება და შემდგომ ფრონტზე წარმატებების მიღწევა. ამავე პერიოდში მათ დააკავეს 249 ბოლშევიკი და სისხლის სამართლის 55 დამნაშავე[26].

პირველ რესპუბლიკაში არსებობდა დამნაშავეების ქვეყნიდან გადასახლების პრაქტიკა. 1918 წელს ეს უმეტესწილად შეეხო საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ ბოლშევიკებს. მაგალითად, 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოქალაქეებს:ალავერდოვს, ხოშტარიას, ტალახაძეს, პოლიკარპე მდივანს, ელბაქიძეს, საბაშვილს, თალაკვაძეს და კიდევ სხვებს ბრალად ედებოდათ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობა. 1918 წლის ნოემბრისთვის მათი პატიმრობაში ყოფნის ვადა შეადგენდა 6 ან 4 თვეს[27]. შემდგომში კი განიხილეს საქმემათი გადასახლების შესახებ და, მაგალითად, სტეფანე კარაპეტის ძე ალავერდოვს მიესაჯა ქვეყნის ტერიტორიის დატოვება და ერევანში გადასახლება[28].

საინტერესო შემთხვევაა თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობების– ალექსანდრე ბრაგინის, ალექსანდრე ტრაუბერგის, ევსეევის, ასევე „რუსული თეატრალური საზოგადოების“ წარმომადგენლების: მილეტი რუზაევისა და ვლადიმირ ტორკის –საქმე. მათ ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაციაში მონაწილეობა; ეს აგიტაცია მიზნად ისახავდა მოსახლეობაში მღელვარების გამოწვევას და შეიცავდა ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის ნიშნებს, რაც მიმართული იყო დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ზემოხსენებულიდან

[24]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 215, ფურც.4.
[25]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1506, ფურც. 1.
[26]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 1506, ფურც. 11-13.
[27]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 37, ფურც.6.
[28]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 37, ფურც.11.

გამომდინარე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა მკაცრ ზომებს და ეს პირები გადაასახლა დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიიდან.ქალაქ თბილისის თეატრალურ მოღვაწეთა პროფესიულმა კავშირმა შინაგან საქმეთა მინისტრს საპროტესტო წერილი გაუგზავნა. მათი აზრით, ამ პირების გადასახლება რესუბლიკის თეატრალურ კულტურას დიდ დატყმას მიაყენებდა[29].

დასკვნა

მიუხედავად დიდი ეკონომიკური სიდუხჭირისა, მსოფლიოში და კონკრეტულად კავკასიის რეგიონში გამეფებული ანარქიისა და ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისა, ჩემი აზრით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარ პოტენციალს მაქსიმალურად იყენებდა ქვეყნის არსებობის ხანმოკლე პერიოდში. ჩამოყალიბებული იყო საკმაოდ მოწესრიგებული საპოლიციო სტრუქტურა რეგიონებსა და დიდ ქალაქებში, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა ანტისახელმწიფოებივ აგიტაციასთან, კონტრ-რევოლუციასთან, კრიმინალთან და არაკანონიერ ბანდფორმირებებთან, რაც ნათლად ჩანს ჩემ მიერ გამოყენებულ საარქივო მასალებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიან საქმიანობას წარმართავდა მინისტრი ნოე რამიშვილი. „რკინის მინისტრი“, როგორც მას უწოდებდნენ პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეთაგან, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი, ენერგიული და დაუღალავად მშრომელი სახელმწიფო მოხელე გახლდათ. ნოე რამიშვილი თავისი უწყებით განსაკუთრებული წარმატებით ებრძოდა ბოლშევიკებს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებითა და სხვა ძალადობრივი გზებით ცდილობდნენ რესპუბლიკის დამხობას. საბოლოოდ, არასრული სამწლიანი არსებობის შემდეგ, რუსეთმა სამხედრო ინტევენციით დაამხო დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რეჟიმი დაამყარა, თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა თავისი გმირებითა და ტრაგიკული ამბებით.

[29]სცსა, ფონდი 1863, აღწერა 1, საქმე 197, ფურც.2.